

ახალი თაობა



akhaitaoba.ge

კობა კოხაძე: „ჩემი 10 წლის შვილის საფლავს ვუიხავ, მანქანაში იარაღი არ მქონდა“
„იარაღი პოლიციელმა ნეფარიძემ ჩადო“



25 თებერვლიდან

მამა გაბრიელი – 90

პირველთა შორის უკანასკნელი

ფასი

ბაზეთთან

ერთად

12 ლარი



სამშაბათი, 25 თებერვალი, 2020

№46 (8310)

ფასი: 60 თეთრი

გურამ ჩალაგაშვილი: „ჩემს ჯარიმას ივანიშვილს გავუბზავნი“



გვ.2

„გამორიცხულია, რომ ფილიშვილისნაირი მოსამართლეები სასამართლოში დარჩნენ“



„ირანიდან საქართველოში 300 ტრაილერი მოდის“



მირიან მირიანაშვილი: „დასავლეთიდან ნაცემოდრობის გადარჩენის მითითება არ მოდის“

სოსო სინსაძე: „ოსნებაშ“ მთავრობა არჩევნების წინ უნდა შეხვედროს“



გვ.3

ნიკა რიჭაძე: „ივანიშვილი აკონოვიკური ვიპარტულაების მინისტრებს განიკრავს“

„სანამ ქვეყანაში იარსებებს არაფორმალური მმართველობა, იმის იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ რეალურად რამე შეიცვლება“



გვ.3



გვ.3

„ზუბდიდუნი 1 კოლოფი სიგარეტი ხუთჯერ ნაკლები ღირს, ვიდრე თბილისში“

რომან გოცირიძე: „ქვეყანა სიგარეტის კონტრაბანდამ წაღვეკა“



გვ.4

ვანტანო მაისაია: „რუსეთიდან კიბერშეტევა კიდეც მოსალოდნელია“



4 „განვიხილოთ, ეს 2 წელი რა ჯოჯოხეთს გავლივარ“
მალხაზ მაჩალიკაშვილი
კიევიში
მიხეილ სააკაშვილს შეხვდა

2 ანეკა თბილისი-ბათუმის მატარებელში
მგზავრები სხვა მატარებლით გაამგზავრეს

5 არჩილ თალაკვაძის კორპუსში იარაღი იპოვეს

6 იტალიაში კორონავირუსით გარდაცვლილთა რაოდენობა 5-მდე გაიზარდა



გურამ ჩალაგაშვილი: „ჩემს ჯარშია ივანიშვილს გავუგზავნი“ „გამორიცხულია, რომ ფილიშვილისნაირი მოსამართლეები სასამართლოში დარჩნენ“

იაგო ნაცვლიშვილი

„გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილის გადაწყვეტილებით, 3.000 ლარით დააჯარიმეს. იგი 12 დეკემბერს, პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე ადმინისტრაციული წესით იყო დაკავებული.



ღვრავს ჯარიმების რაოდენობას, რა ფორმული ხელმძღვანელობს? ფაქტია, რომ დამსაჯა 3.000-ლარიანი ჯარიმით. რა ვქნათ, სამსუბროდ, გვინდოდა ამ ქვეყანაში ცხოვრება და დარჩა 8-9 თვე იქამდე, როდესაც ეს ხელისუფლება აღარ იქნება. ამის შემდეგ კი ფილიშვილისნაირი მონა მოსამართლეები აუცილებლად წავლენ სახლებში.

— ანუ ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ასეთ პირებსაც შეეხებათ ცვლილებები?

— რა თქმა უნდა. ეს აუცილებლად და ყოველ მიზეზგარეშე მოხდება. შეუძლებელია და გამორიცხულია, რომ ფილიშვილისნაირი მოსამართლეები დარჩნენ, რომლებიც ამბობენ, რომ არ არის არანაირი ვიდუო მტკიცებულება, არ ჩანს არავინ და არ არის სისხლის სამართლის დანაშაულის მამხილებელი მტკიცებულებები. ეს ადამიანი ამბობს სხდომაზე, რომ მან გულსისყურით მოუსმინა პოლიციელს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოყოლილი ამბობს, რომელსაც კარნახობდნენ რა უნდა ეთქვა, ამაზე დაყრდნობით გამოიტანა განაჩენი.

— ანუ ვარაუდობთ, რომ მან შესაძლოა პოლიტიკური დაევალება?

— ამას ვარაუდობ არ სჭირდება მე მგონი. ეს სხვებზეც შემძლია ვთქვა. ერთი ვიდუო მტკიცებულებაც კი არ არსებობს ამ 6 ადამიანზე, რომ რომელიმეს ან ხმამაღალი სიტყვა ეთქვა ვინმესთვის, ან რაიმე შეურაცხყოფელი სიტყვა, ან რაღაც მსგავსი. არა ბატონო, ასეთი ფაქტი არ ყოფილა. ყველას შესახებ მოტანილი

ყოი ვიდუო მასალები, როდესაც ეს ადამიანები სხედან პოლიციის მანქანაში, მათ შორის მეც და როგორ მეუბნება პოლიციელი, რომ უნდა გამარადოს სიტუაციას. აი ეს ვიდუოებია წარმოდგენილი. ფილიშვილმა ამ ვიდუო მტკიცებულებაზე დაყრდნობით 3.000-ლარიანი ზიანი მომაყენა. პოლიციელმა, რომელიც მანქანაში შეჯდა და დაილა ჩემი ლაპარაკით, ამის გამო კომპენსაცია გამოუწერა სახელმწიფოს.

— აბირებთ, რომ გადაიხადოთ ეს 3.000 ლარიანი ჯარიმა?

— არაფრის გადახდა არ ვაპირებ. რა თქმა უნდა, მაქვს უფლება, რომ გავასაჩივრო ეს გადაწყვეტილება. ფაქტია, რომ ამას გავასაჩივრებ, თუმცა, არ მაქვს არც იმის იმედი, რომ შემდგომ ინსტანციაში ვილაყა გამოიტანს ობიექტურ და კანონიერ გადაწყვეტილებას და იქაც იგივენაირად მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც მოსამართლე. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, რისი გამოყენების უფლება და საშუალებაც მაქვს, ამას, ცხადია, ვაკეთებ.

— თუ შემდგომ ინსტანციაში დატოვებს ამ გადაწყვეტილებას, არც მაშინ არ გადაიხადოთ ამ ჯარიმას?

— არა. ვერც გადავიხდი და არც ვაპირებ, რომ გადავიხადო. ვაპირებ, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ასლი ჩავდო კონვენტში და ეს გავუგზავნო ამ ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველს. ამას გავგზავნი საქართველოს ფოსტის საშუალებით, რომელიც იპარავს სარჩელებს. იცით, რომ სტრასბურში გასაგზავნი სარჩელი ირაკლი ოქრუაშვილის თემაზე მან მოიპარა და ეს გავასმოვანეთ და ამაზე პასუხს დღემდე ველოდებით.

— ივანიშვილისთვის გავგზავნას აპირებთ?

— დიახ. მას აქვს ყველაზე მეტი ფული ამ ქვეყანაში და მას შეუძლია გადაიხადოს ეს თანხა და დუხმაროს სახელმწიფო ბიუჯეტს. როგორც ჩანს, ისინი ბიუჯეტს ვერ ავსებენ და ამ ადამიანმა გადაიხადოს ეს ფული.

გიორგი მარგველაშვილი: „ოპოზიციური მანიპულაციების გარეშე ვერ ვხედავ რეალურ პოლიტიკურ დინამიკას“

— ის პოლიტიკური მრგვალი მაგიდა, რომელიც გაერთიანებულია უკეთესი არჩევნებისა და პოლიტიკატიმრების გამოშვების თემის ირგვლივ, უნდა შენარჩუნდეს იქამდე, ვიდრე მიზნები არ იქნება მიღწეული.

პოლიტიკურ პარტიებთან, ვიღებ ინფორმაციას მათი ხედვებისა და სტრატეგიის შესახებ. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ის პოლიტიკური მრგვალი მაგიდა, რომელიც გაერთიანებულია უკეთესი არჩევნებისა და პოლიტიკატიმრების გამოშვების თემის ირგვლივ, უნდა შენარჩუნდეს, ვიდრე ეს მიზნები არ იქნება მიღწეული.

ამ ეტაპზე ეს მაგიდა სახავს პოლიტიკურ დღის წესრიგსა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების პრიორიტეტებს. ამ მაგიდის გარეშე მე ვერ ვხედავ რეალურ პოლიტიკურ დინამიკას, რომელიც უკვე ვინმე უნდა ჩაერთოს სერიოზულად. ჩემი მოხიბვა ისევე ამ მაგიდის გაძლიერების ირგვლივ არის და მის სუბიექტებთან მაქვს კონსულტაციები.

ჩემი ინტერესი არის საქართველოში დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნების ჩატარება, რომლის ძირითადი ხაზგასასმელი პრინციპი არის — ყველა პარტიამ უნდა აიღოს იმდენი, რამდენ მხარსაც უჭერს მოსახლეობა, არც არავის უნდა მოაკლდეს და არც არავის უნდა დაემატოს. მოპარვის შედეგად და ჯიბეში ხმების ჩადების შედეგად დემოკრატია ვერ შედგება. ეს არის ამ მრგვალი მაგიდის მთავარი მიზანი და ამიტომ ვუჭერ ამ თემატიკურ გაერთიანებას მხარს. მე ვაპირებ თანამშრომლობას ამ თემის ირგვლივ, — განაცხადა მარგველაშვილმა.



ივანიშვილს ჩამოეკიდნა 20 წლის ბოგონა ქუთაისის ინფექციური გადაიყვანეს

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში გუშინ, 24 თებერვალს, ჩამოფრენილ თვითმფრინავს მედიკოსთა ჯგუფი დახვდა, რომელმაც ჩამოსული ადამიანები შეამოწმა.



გუშინვე ერთ-ერთი მგზავრი, 20 წლის გოგონა, ქუთაისის ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი კვლევები ჩაუტარდა.

როგორც იტალიიდან ჩამოსული საქართველოს მოქალაქეები აცხადებენ, მათ პირველი შემოწმება ჯერ კიდევ იტალიაში გაიარეს. საქართველოს ტერიტორიაზე კი მათ თერმოსკრინინგი ჩაუტარდათ.

გუშინ საღამოს 20 წლის გოგონას მდგომარეობის შესახებ კომენტარი გააკეთა ქუთაისის ინფექციური კლინიკის მთავარმა ექიმმა თემურ ნადირაძემ.

მისი თქმით, გოგონას აღენიშნებოდა ტემპერატურა 37,8. ამ ეტაპზე პაციენტი მოთავსებულია ბოქსირებულ პალატაში.

შემოყვანილია პაციენტი 20 წლის, იტალიიდან ჩამოვიდა, სიცხე დაუფიქსირდა 37,8. მოთავსებულია ბოქსირებულ პალატაში. უტარდება მკურნალობა, ემსახურება სპეციალურად აღჭურვილი მედპერსონალი.

კორონავირუსზე ანალიზი ჯერ არ ჩატარებია. ჯანდაცვის ცენტრთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში ანალიზები ლუგარის ლაბორატორიაში გადაიგზავნება. მდგომარეობა სტაბილურია, ტემპერატურამ დაიკლო, რჩება კლინიკაში — განაცხადა თემურ ნადირაძემ.

კორონავირუსზე ანალიზი ჯერ არ ჩატარებია. ჯანდაცვის ცენტრთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში ანალიზები ლუგარის ლაბორატორიაში გადაიგზავნება. მდგომარეობა სტაბილურია, ტემპერატურამ დაიკლო, რჩება კლინიკაში — განაცხადა თემურ ნადირაძემ.

ახალი თარხა
გამოცემის
 1993 წლის
 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოლო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ახლანიშვილი

საფინანსო სამსახური — ვლარა ბალაგაძე
 სარედაქციო სამსახური — 294-02-55

დირექტორი — ზურაბ შერიძე
გაფრეცილების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარედაქციო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალები ავტორის პასუხის აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge **ელ.ფოსტა:** axtaoba@mail.ru

ბია ვოლსკი: „გაზაფხულზე მთავრობა არ შეიძლება“

გაზაფხულზე მთავრობის შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა, ბია ვოლსკიმ.



— არავითარი ცვლილებები, მთავრობა მუშაობს გამართულად, — განაცხადა მან.

დებუტატი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დასმულ კითხვას პრემიერმა ლოგიკური პასუხი გასცა.

— იმდენჯერ დაისვა შეკითხვა, გაზაფხულზე არის ცვლილებები მოსალოდნელი, მედიისგან იქნება ეს თუ პოლიტიკური განცხადებები ამასთან დაკავშირებით, რომ პასუხი გაცეცა სავსებით ლოგიკური. თუ მაინცდამაინც ამ შეკითხვას ვიმეორებთ სწორად, კი ბატონო, მაშინ დაველოდოთ გაზაფხულს. მე ვამბობ, არავითარი ცვლილებები, სტაბილურობაა ქვეყანაში და მთავრობა მუშაობს გამართულად, — განაცხადა ბია ვოლსკიმ.

დავით უსუფაშვილი: „მეარაბიშვილთან საქმე არ მაქვს“

— მე მერაბიშვილთან არც სალაპარაკო მაქვს რამე და არც მოსალაპარაკებელი, — ამის შესახებ პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წევრმა, დავით უსუფაშვილმა ოპოზიციის მოლაპარაკებებში ვანო მერაბიშვილის შესაძლო მონაწილეობასთან დაკავშირებით განაცხადა.



როგორც უსუფაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მაგიდის გარშემო ერთმანეთის კონკურენტები არიან.

— მერაბიშვილთან არც სალაპარაკო მაქვს რამე და არც მოსალაპარაკებელი. შალვას ოთხკუთხედი მაგიდის გარშემო ვინც ვსხედვართ, იქ უმეტესობა ერთმანეთის კონკურენტები ვიყავით და ხვალაც კონკურენტები ვიქნებით, მე იქ არავინ შემირჩევია — ვინ მომწონს და ვინ არ მომწონს... მე გეუბნებით, მე პირადად ვანო მერაბიშვილთან არც სალაპარაკო მაქვს, არც მოსალაპარაკებელი. თვითონ ახლა არის დანაშაულისთვის სასჯელმოსხმელი მოქალაქე, რომელსაც აქვს სრული თავისუფლება, აკეთოს ის, რაც მოუნდება, — განაცხადა უსუფაშვილმა.

— მე მერაბიშვილთან არც სალაპარაკო მაქვს რამე და არც მოსალაპარაკებელი. შალვას ოთხკუთხედი მაგიდის გარშემო ვინც ვსხედვართ, იქ უმეტესობა ერთმანეთის კონკურენტები ვიყავით და ხვალაც კონკურენტები ვიქნებით, მე იქ არავინ შემირჩევია — ვინ მომწონს და ვინ არ მომწონს... მე გეუბნებით, მე პირადად ვანო მერაბიშვილთან არც სალაპარაკო მაქვს, არც მოსალაპარაკებელი. თვითონ ახლა არის დანაშაულისთვის სასჯელმოსხმელი მოქალაქე, რომელსაც აქვს სრული თავისუფლება, აკეთოს ის, რაც მოუნდება, — განაცხადა უსუფაშვილმა.

პანიკა თბილისი-ბათუმის მატარებელში გაამგზავრეს

გუშინ, 24 თებერვალს, თბილისი-ბათუმის სამგზავრო მატარებელი, რომელიც დაახლოებით, ერთი საათის განმავლობაში სადგურზე იყო გაჩერებული, სადგურიდან ცარიელი გავიდა.



მატარებელი, რომელიც თბილისიდან ბათუმში მიემგზავრებოდა, დანიშნულების ადგილამდე სხვა მატარებელით გაამგზავრეს.

მატარებლის გაჩერების მიზეზი მატარებელში მჯდარი 2 აზიური წარმოშობის მგზავრი გახდა, რომლებსაც გაციების ნიშნები აღენიშნებოდათ.

მატარებლის გაჩერების მიზეზი მატარებელში მჯდარი 2 აზიური წარმოშობის მგზავრი გახდა, რომლებსაც გაციების ნიშნები აღენიშნებოდათ.

აღნიშნულის გამო, მგზავრებმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოწმება მოითხოვეს.

მედიკოსებმა ისინი მატარებელშივე შეამოწმეს, რის შედეგადაც დაადგინეს, რომ მათ ვირუსის ნიშნები არ აღენიშნებოდათ.

მიუხედავად ამისა, შემდგომი სამედიცინო შემოწმების მიზნით, ორივე მათგანი ბოჭორიშვილის სახელობის ინფექციურ კლინიკაში გადაიყვანეს.



არჩილ თალაკვაძის კორპუსში იარაღი იპოვეს



გუშინ, 24 თებერვალს, პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძის საცხოვრებელი კორპუსთან პატრული იყო მოპოვებული.

მოგვიანებით შსს-მ აღნიშნული ფაქტი ასე განმარტა:

„პირველ და მეორე სართულზე შორის ნაპოვნია, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღი. იარაღი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელმა აღმოაჩინა და გვაცნობა, რასაც მოჰყვა მყისიერი რეაგირება სამართალდამცავების მიერ.“

გამოძიება დაიწყო თბილისის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, - განუცხადეს სააგენტოს შსს-ში.

პარლამენტის პრესსამსახურში უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ პარლამენტის თავმჯდომარის საცხოვრებელი ბინის გაქურდვის მცდელობას ჰქონდა ადგილი.

პარლამენტის თავმჯდომარის საცხოვრებელ კორპუსთან საპატრულო პოლიციის მოხილვებმა სპიკერის ბინასთან მიმართებაში მომხდარ რაიმე ფაქტს არ უკავშირდება. სიცრუე გავრცელებული ინფორმაცია, რომ ადგილი ჰქონდა პარლამენტის თავმჯდომარის სახლში შეღწევის მცდელობას, - აღნიშნეს პარლამენტის პრესსამსახურში.

სამეგრელოში საფლავების გაქურდვის ბრალდებით 2 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ჩხოროწყუს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1999 წელს დაბადებული ორი პირი: ბ.ლ. და ა.დ. საფლავზე არსებული ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა საფლავში - ქოლაში, ნაფიჩხოვოში, კურ-ზუსა და ქალაქ ჩხოროწყუში 10 საფლავი გაქურდეს. ბრალდებულები მართლსაწინააღმდეგოდ



დაუფლუნ საფლავების მესრების ლითონის დეტალებს, რომლებიც შემდეგ ქალაქ სენაკსა და ქალაქ ზუგდიდში მდებარე შავი და ფერადი ლითონების მიმღებ პუნქტებში ჩააბარეს.

პოლიციამ ქალაქ სენაკში, ფერადი ლითონების მიმღები ერთ-ერთი პუნქტიდან, ნივთმტკიცების სახით ამოიღო საფლავებიდან მოპარული ლითონის ფორფიტები. ორივე დაკავებული ჩადგინდა დასჯის საფლავის აღიარებას.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 258-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც საფლავზე არსებული ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას გულისხმობს.

პოლიციისა და შინაგან საქმეთა თავდაცვის ძალების ს.ჭ.-ს 4 წელი შეეფარდა

რუსთავის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და პოლიციელზე და მის სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმაში ბრალდებული ს.ჭ. დაამსჯა ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 21 ივლისს, გარდაბნის რაიონის, სოფელ აგთაკლიაში, რესტორან „ე.-ს“ მიმდებარედ, შსს გარდაბნის რაიონული სამმართველოს გაჩიანის პოლიციის განყოფილების თანამშრომლები, დ.გ. და ნ.გ. სამსახურებრივი ავტომანქანით შესაღო დანაშაულის შესახებ შეტყობინების საფუძველზე გამოცხადდნენ.

პოლიციის თანამშრომლები ადგილზე მყოფ უ.ჭ.-ს და ს.ჭ.-ს სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ, როდესაც ს.ჭ. თავს დაესხა დ.გ.-ს, ძალადობით დაუზიანა სამსახურებრივი უნიფორმა და ქვები ესროლა მის სამსახურებრივ ავტომანქანას, რის შედეგადაც წინა საქარე მინა დაუზიანა. სამართალდამცველებმა ს.ჭ. 2019 წლის 21 ივლისს, გარდაბნის რაიონის სოფელ აგთაკლიაში დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი

კობა კოშაძე: „ჩემი 10 წლის შვილის საფლავს ვუიხავ, მანქანაში იარაღი არ მქონდა“

„იარაღი პოლიციელმა ნეფარიძემ ჩადო“

ერთადერთი საფიცარი ჩემი 10 წლის შვილის საფლავია, რომელსაც 2-მეტრიანი ქვა ადევს, იმ საფლავს ვფიცავ, მანქანაში იარაღი არ მქონდა.

ეს განცხადება გუშინ, 24 თებერვალს, ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის ბრალდებულმა ნეფარიძემ კობა კოშაძემ სასამართლოში განაცხადა.

პროცესზე თავად ბრალდებული დაიკითხა. კობა კოშაძემ დეტალურად ისაუბრა დაკავების დღეზე.

დაკავების წინა დღეს სოფელში ნავედი მთელი ღამის განმავლობაში ჩემ ნაკვეთში ფიზიკურად ვმუშაობდი, საერთოდ არ მიძინებია. შემდეგ ჩემს ავტომანქანაზე დავჯექი და ჩემი შვილის საფლავზე ავედი, ღობე შევლექე, 19 აგვისტოს წლისთვის ველოდებოდი და მიხდოდა მომენტის დასრულება. მეუღლეს დავურევე, რომ თბილისში შემხვედროდა და 100 ლარი მოეცა, ასევე დავურევე ხელსიხსნის.

საფლავიდან სახლი გამოვიარე, სოფლის ნობათი ჩავაღაგე და თბილისში წავედი, დაახლოებით, 10-ის ნახევარი იქნებოდა, თბილისში შემოსული, სამართალდამცავებმა გამაჩერეს და საბუთები მომთხოვეს. უცებ მოძრაობა შეჩერდა, მომცივებდნენ, ჩხრეკა დამიწყეს. მანქანის კარები გააღეს, ირგვლივ 7-8 მანქანა მიხედავ იქნებოდა. გავიხედე და იარაღი ხელის მუხრუჭთან ეგდო, ეს ჩემი არაა-მეთქი, ვთქვი. პოლიციელ ანდრო ნეფარიძეს ეკეთა მხოლოდ ხელთათმანი, ნახეთ, იარაღიო, დაიწყო ყვირილი. ჩემი არაა და რაც გინდათ, გააკეთეთ-მეთქი, ვუთხარი. იარაღი პარკში ჩადეს, არ დაუღუქიათ, სხვა მანქანაში პარკი გახსნეს და შიგნით იყურებოდნენ, ათვლიერებდნენ. მანქანის ჩხრეკას ხელი არ მოვაწერე. დარწმუნებული ვარ, იარაღი პოლიციელმა ნეფარიძემ ჩადო, რადგან ხელთათმანი მხოლოდ მას ეკეთა, - განაცხადა კოშაძემ.

მისივე განმარტებით, მას პოლიციის სამმართველოში აღიარებას სთხოვდნენ, სანაცვლოდ

ქ.ა. ბათუმი სოფ. მოკალით ემუქრებოდა

პოლიციამ ოჯახში ძალადობისა და მეუღლის მიმართ მუქარის ბრალდებით ბათუმში 1 პირი დააკავა. აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული ვ.ა., ოჯახში ძალადობისა და ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული მუქარის ბრალდებით, ბათუმში დააკავეს. დანაშაული 1-დან 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულმა მეუღ-



კი განრიდებას პირადებოდნენ.

„რატომ დამიჭირეთ-მეთქი, - ვკითხე ერთ-ერთ ხელმძღვანელს. გაეღიმა, რამდენი ხანია, რაც ირაკლი ოქრუაშვილთან მუშაობო, მკითხა. 20 ივნისს, მიტინგზე ხომ იყავიო, ესეც მკითხა. რა დავაზე ვერ, რომ ვიდექი-მეთქი, ვუთხარი. კარგი, არ გინდა პოლიტიკაზე საუბარი, თუ აღიარებ, განრიდებას ვაგიკეთებო, მიხსრა.

დავრწმუნდი, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და, როგორც ამბობენ, მაღლიდან იყო ნაბრძანები.

პატივცემულო მოსამართლე, ერთადერთი საფიცარი ჩემი 10 წლის შვილის საფლავია, რომელსაც 2 მეტრიანი ქვა ადევს, იმ საფლავს ვფიცავარ, მე იარაღი არ მქონდა. ერთადერთი იმას ეწერვილობ, ასე უსამართლოდ რომ მომექცნენ. მეგობრის და ოჯახის გამო ავერ ტყვიაც მივიღე. არაფერი დამიჩაგრია ცხოვრებაში და მე რატომ უნდა დამჩაგრონ? - განაცხადა კოშაძემ.

აღნიშნულ საქმეზე ბრალდების მხარემ მტკიცებულებების გამოკვლევა დაასრულა. თავდაცვის ყოფილი მინისტრის დაცვის წევრს, კობა კოშაძეს, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას ედავებოდა.

გურამ ჩალაგაშვილი სასამართლომ 3.000 ლარით დააჯარიმა

12 დეკემბერს, პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული გურამ ჩალაგაშვილი, რომელიც „გამარჯვებული საქართველოს“ წევრია, სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო და მას 3.000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვალერიანე ფილიპოვის გადაწყვეტილებით, ჩალაგაშვილი მხოლოდ პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე იქნა ცნობილი სამართალდამრღვევად. სამართალდამრღვევად ცნობილი იქნენ ჩალაგაშვილთან ერთად დაკავებული დანარჩენი პირებიც.

სასამართლომ კასაბერ მაჩიტის 1.100-ლარიანი, გიორგი თევდორაძის 2.000-ლარიანი, ბესიკ გაზდელიანის - 3.000-ლარიანი, რამაზ ბოკელავაძის - 1.500-ლარიანი, გიორგი რობიტაშვილის - 1.100-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

ყველა მათგანი სამართალდამცავებმა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს, სადაც აქციის მონაწილეები უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა კანდიდატების არჩევას აპროტესტებდნენ.

აღნიშნული პირები სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლებით დააკავეს, რაც პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასა და წერილმან ხულიგნობას გულისხმობს.

ბორჯომის სასამართლომ 3 წლის ბავშვი გადმოჰარა

ბორჯომში 3 წლის გოგონა ერთ-ერთი სასტუმროდან გადმოჰარდა. მცირეწლოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ბავშვს კვლევები ბორჯომის სამედიცინო ცენტრში ჩაუტარდა. ექიმის განმარტებით, ამ დროისთვის არსებული მონაცემებით მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. შემთხვევა გუშინ, 24 თებერვალს, მოხდა.

ბაკურიანი ახალგაზრდა ქალი სრილის დროს დაიღუპა



გუშინ, 24 თებერვალს, ბაკურიანში ახალგაზრდა ქალი, სავარაუდოდ, სრილის დროს დაიღუპა. ცხედარი პროზექტურაში გადასვენებული. გამოძიება 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სიცოცხლის გაფრთხილებლობით მოსპობას გულისხმობს.

ასპინძაში, შინაგან საქმეთა მამაკაცის სხელო იპოვეს

ასპინძაში, მდინარე მტკვარში შუახნის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ის სოფელ ნაქალაქევის მკვიდრია. მამაკაცი სახლიდან 23 თებერვალს დილით გავიდა. მას შემდეგ სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობდა, ცხედარს კი 24 თებერვალს მიაკვლიეს.

გუშინ, საღამოს ხუთი საათის შემდეგ ექვს მთელი სოფელი. შვილს აქვს მძიმე დაავადების დიაგნოზი, არაფერს გამოვლიცხავ, შეიძლება ამ ამბავს ვერ გაუძლო და თავი მოიკლა, შეიძლება უბრალოდ ჩავარდა. ძალიან მშრომელი კაცი იყო, - ამბობენ სოფელში.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული ნამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მაღალი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორციელებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირების და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის განმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარება. ორგანიზმი პროცედურით გაგენმინდება ორგანიზმი.

- მეკურნალობა: 1. სეზონების; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტის; 5. ფრონტიტის; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულმძარვას („იყოგას“); 12. მასტობათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნანოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვსნის მეჭეჭებს; 16. განკურნავს ჭიებისგან; 17. დავსლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქელ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.



ნაწილით (პოლიციელზე და მის სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმა პოლიციელის სამსახურებრივ სატრანსპორტო საშუალებაზე) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ს.ჭ. სრულად ცნო დანაშაულები წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

